ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 39 (10233) 9 ოქტომბერი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.

შოთა გოგიბერიძე საკრებულოსთვის იბრძოლებს

გასულ პარასკევს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე შოთა გოგიბერიძე ჟურნალისტებთან ბრიფინგი გამართა.

მან ჟურნალისტებთან განაცხადა: – მიმდინარე არჩევნებში „პატრიოტთა ალიანსი“-ს დეპუტატობის რამდენიმე კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა დამოუკიდებელი კანდიდატების სასარგებლოდ. კერძოდ: მაკა გოგუაძემ ქ. ოზურგეთის ცენტრი-ლაშე მაჟორიტარულ ოლქში კანდიდატურა მოხსნა დამოუკიდებელი კანდიდატის ლევან მგელაძის სასარგებლოდ; ლაითურის მაჟორიტარულ ოლქში დავით თავართქილაძემ – რევან გაბაიძის სასარგებლოდ; ურეკის მაჟორიტარულ ოლქში გოჩა დვალიშვილმა – ჯაბა მიქაბერიძის სასარგებლოდ; ასკანის მაჟორიტარულ ოლქში თეიმურაზ ჯინჭარაძემ –ილია მამალაძის სასარგებლოდ.

აღნიშნულ დამოუკიდებელ კანდიდატებს ვუსურვებთ წარმატებებს და გამარჯვებას, ხოლო ჩვენი ყოფილი კანდიდატები გაგრძელებენ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე მუშაობას, როგორც „პატრიოტთა ალიანსის“ სათათბიროს ხელმძღვანელები და კორდინატორები, რათა მაქსიმალურად მოიპოვონ ხმები „პატრიოტთა ალიანსი“-სათვის.

რაც შეეხება „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-იდან მერობის პოსტზე წარდგენილ კანდიდატს შოთა გოგიბერიძეს, მან ასევე მოხსნა თავისი კანდიდატურა ოზურგეთის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის კონსტანტინე შარაშენიძის სასარგებლოდ

თავად შოთა გოგიბერიძე თავის პოლიტიკურ გუნდთან, 18 მაჟორიტარულ ოლქში წარდგენილ კანდიდატთან ერთად, როგორც „პატრიოტთა ალიანსის“ პარტიული სიის პირველი ნომერი, აგრძელებს საარჩევნო ბრძოლას ოზურგეთის საკრებულოში ადგილების მოსაპოვებლად და გამარჯვეებისათვის, როგორც „პატრიოტთა ალიანსი“-ს შტაბის ხელმძღვანელი.

ჟურნალისტების კითხვაზე, ბრიფინგის წინ, რატომ მიაწოდა წინასწარ ერთ-ერთ მედიასაშუალებას ინფორმაცია მისი მერობის კანდიდატობიდან მოხსნის შესახებ, გოგიბერიძემ განმარტა: – მე გუშინ, 5 ოქტომბერს 17 საათსა და 30 წუთზე შესაბამისი განცხადება წარვუდგინე ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზვიად თენიეშვილს და ვთხოვე, რომ მომდევნო დღეს ბრიფინგს მართავდა და საოლქოს მანამდე ინფორმაცია არ მიეწოდებინა მედიისათვის.

აღნიშნულზე №60 ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზვიად თენიეშვილმა გაზეთ „ალიონს“ უთხრა, რომ მისთვის გუშინ არცერთ მედიასაშუალებას არ მოუმართავს. განცხადებამ კომისიაში შესაბამის პროცედურები გაიარა და მასთან წვდომა ჰქონდა, როგორც კომისიის მდივანს, ისე სხვა წევრებს. ამასთანავე ასეთი ინფორმაცია საჯაროა და მისთვის რომ დაერეკათ, იგი აუცილებლად გასაჯაროებდა.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - ადგილობრივი არასამთავრობოების სამონიტორინგო ობიექტი



ქეთევან ხიდაშელი

თამაზ ტრაპაიძე

ბრიგოლ მახარაძე

ოზურგეთში მოქმედი 30-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციიდან თვითმმართველობის საარჩევნო პროცესში მხოლოდ რამდენიმეა ჩართული. მსურველი გაცილებით მეტია, მაგრამ, უფინანსობის გამო, იძულებული არიან, მათი გამოცდილი კადრები დამკვირვებლებად გააწევრიანონ დონორი ორგანიზაციებიდან დაფინანსებულ არასამთავრობოებში.

წინასაარჩევნო პერიოდში, პროექტით „ქალების ხმა თვითმმართველობაში“ საინტერესო და საჭირო საქმიანობას ეწევა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“.

პროექტი, რომლის მიზანია ქალი ამომრჩევლების საჭიროებების გამოვლენა, ამ საჭიროებების საარჩევნო პროგრამებსა და დებატებში ასახვა, ქალი ამომრჩევლების სეგმენტის ფორმირების ხელშეწყობა, ხორციელდება EWMI Access-ის და USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით.

ორგანიზაციის ხელმძღვანელის ქეთევან ხიდაშელის თქმით, 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პოლიტიკურმა სუბიექტებმა დაახლოებით ნახევარი მილიონი ქალი ამომრჩევლის ხმა დაკარგეს. პარტიები არ უთმობენ საკმარის დროს ქალი ამომრჩევლების პრობლემების ღრმა შესწავლას.

„ჩვენი პროექტის განხორციელებით, გვაქვს დიდი მოლოდინი, რომ ამომრჩეველი ქალების ჩართულობის შედეგად, საარჩევნო სუბიექტები გაითვალისწინებენ ქალთა საჭიროებებს საარჩევნო პროგრამებში და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, შეეცდებიან თითოეულ სოფელში ქალების ცხოვრება გახადონ უკეთესი,“ - აცხადებენ ორგანიზაციაში.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისთვის“ 2 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრამდე, ოზურგეთის მერობის კანდიდატებს, ასევე პარტიული სიებითა თუ მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატებს თავაზობს ქალ ამომრჩევლებთან შეხვედრებს სამიზნე თემებში - ძიმითში, დაბა ნასაკირალში, დვაბზუში, ლაითურში, ნარუჯაში, ანასეულსა და ლიხაურში.

რატომ არის მნიშვნელოვანი შეხვედრები ქალ ამომრჩევლებთან? ქეთევან ხიდაშელი გვპასუხობს:

-იმიტომ, რომ კანდიდატების უმრავლესობა რატომღაც გაურბიან ქალ ამომრჩეველთან შეხვედრებს!

- იმიტომ, რომ ჩვენ არ გვყავს საკმარისი ქალი, რომელიც ჩვენს პრობლემებს გაახმოვანებს იქ, სადაც წყვეტენ ისეთ საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ქალების ცხოვრებაზე!

- იმიტომ, რომ საქართველოში ცოტა გვყავს მერობის კანდიდატი ქალი!

- იმიტომ, რომ თვითმმართველობის არჩევნებში დღემდე ქალის რესურსი ხშირად გამოყენებულია საარჩევნო კამპანიაში, როგორც შავი საქმეების მკეთებლები!

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

უფასო პოლიტიკური რეკლამა

ბეგლარ სიორიძე ქალაქ ოზურგეთის მოსახლეობას შეხვდა

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის მერობის კანდიდატი, **ბეგლარ სიორიძე**, ქალაქ ოზურგეთის მოსახლეობას შეხვდა. კანდიდატმა ადგილობრივებს საარჩევნო პროგრამა და სამომავლო გეგმები გააცნო.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი და ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი **არჩილ თალაკვაძე**, გურიის გუბერნატორი **მერაბ ჭანუყვაძე** და პარლამენტის წევრი **ნინო გოგუაძე.**

„ჩვენს გამარჯვებას წინ არაფერი უდგას, რადგან ვხედავ, რომ ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვართ და ვიცით ღირსების ფასი. „ქართულმა ოცნებამ“ წინა საარჩევნო კამპანია ღირსეულად დაიწყო და ასევე ღირსეულად დავამთავრებთ ამ კამპანიას. დაპირებების გაცემა, რომლებსაც უხვად არიგებენ ოპონენტები, მარტივია, თუმცა შესრულება რთული. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ და მუხლჩაუხრელად ვიშრომებთ. მე თქვენთვის მომინდია არჩევანის გაკეთება. მადლობას გიხდით თითოეულ თქვენგან“. - განაცხადა ბეგლად სიორიძემ.

შეხვედრაზე პარლამენტის წევრმა, ნინო გოგუაძემ აღნიშნა, რომ არჩევნებში წარმოდგენილ კანდიდატებს გამარჯვების შემდეგ მოსახლეობასთან ღია კომუნიკაცია ექნებათ.

„ჩემთვის ძალიან მშობლიურია ეს მხარე. ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ. მე მჯერა რომ წარმოდგენილი კანდიდატები გაიმარჯვებენ და მათ მოსახლეობასთან ღია კომუნიკაცია ექნებათ. ჩვენ თქვენთან ყოველდღიური ურთიერთობა გვინდა და ერთად ძალიან ბევრს შევძლებთ“, - განაცხადა ნინო გოგუაძემ.

უმრავლესობის ლიდერმა, არჩილ თალაკვაძემ ოზურგეთის მოსახლეობას თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა.

„მინდა ყველას მმართველი გუნდის სახელით მადლობა გადაგიხადოთ თანადგომისთვის. ჯერ კიდევ რჩება ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გასაკეთებელი და ერთად ყველაფერს გავაკეთებთ“, - განაცხადა შეხვედრაზე არჩილ თალაკვაძემ.

შეხვედრაზე ოფიციალურად წარადგინეს „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის საკრებულოს სიის პირველი ათეული.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ პრესსამსახური

შრომა-ეკალდიდის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა დასრულდა



ფონდმა „ქართუმ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი საჩუქარი გადასცა. შრომის თემში, საქველმოქმედო ასოციაცია „ატუმ" ეკალდიდი-შრომის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა დაასრულა,- ამის შესახებ ინფორმაციას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ავრცელებს.

ხიდის სიგრძე 16 მეტრია. სამუშაოების ჯამური ღირებულება 130 000 ლარს შეადგენს. „ფონდმა „ქართუმ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არაერთი მაღალბიუჯეტური ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა.

სტიქია ოზურგეთში

უამინდობის გამო პრობლემები შეიქმნა მუნიციპალიტეტის სამ სოფელში.

დაბა ურეკსა და სოფელ გურიანთაში უხვი დინების გამო მცირე მდინარეებზე სანიაღვრე არხებმა წყლის ნაკადი ვერ გაატარეს და ნიაღვარი მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებში შევიდა.

პრობლემა შეიქმნა სოფელ ნაგომარშიც. ჩაინგრა მცირე ხიდი და 4 ოჯახი გარესამყაროს მოწყდა.

ადგილზე იმყოფებოდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგბლის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ ყაზაიშვილი და გამგებლის მოადგილე ბადრი გობრონიძე.

გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის არჩილ ყაზაიშვილის განცხადებით, შესაბამისი სამსახურები ნაგომარში პრევენციულ ზომებს დღესვე მიიღებენ,რაც შეეხება ხიდის აღდგენით სამუშაოებს, ის უახლოეს მომავალში დაიწყება..

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელობაზე იმსჯელეს

ოზურგეთის „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის“ ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელობაზე იმსჯელეს.

„კაცები ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისათვის“ - კამპანია მიზნად ისახავს მამაკაცებმა მოახდინონ ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის იდეის პოპულარიზაცია და მხარი დაუჭირონ ქალ კანდიდატებს.

ღონისძიების მომხსენებლებმა – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელმა, თამაზ ტრაპაიძემ და ოზურგეთის გენდერის მედიაცენტრის წარმომადგენელმა,გიორგი ელიაძემ ისაუბრეს თუ რატომ გვჭირდება ქალები პოლიტიკაში.

თამაზ ტრაპაიძემ თავისი გამოსვლის დროს თქვა: „დროა, დავივიწყოთ ფრაზა „ქალის ადგილი სამზარეულოშია“, რადგან საჭიროზე მეტი ფაქტი ადასტურებს ქალთა ეფექტურ და პროფესიონალურ მოღვაწეობას პოლიტიკაში.

საქართველოში ქალთა რესურსი სრულად არ არის გამოყენებული,არადა აქ ძალიან დიდი პოტენციალია,რაც საბოლაო ჯამში ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის სასიკეთო იქნება“.

რატომ არ არის ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის თვალსაზრისით ამჟამად საქართველოში არსებული ვითარება დამაკმაყოფილებელი? - ამ საკითხზე ისაუბრა გიორგი ელიაძემ და დამსწრე საზოგადოებას სტატისტიკური მონაცემები გააცნო.

„12 ქალაქის მერიდან არც ერთი არ არის ქალი; 59 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ ერთს ხელმძღვანელობს ქალი გამგებელი, თბილისის 10 რაიონიდან კი მხოლოდ დიდუბის გამგებელია ქალი. საკრებულოების შემადგენლობის მხოლოდ 11%-ია ქალი (2154 წევრიდან 246). ქალების 30-40%-იანი წარმომადგენლობა განიხილება იმ „კრიტიკულ უმცირესობად“, რაც საჭიროა, რათა ქალებმა არსებითი ცვლილება შეიტანონ პოლიტიკურ პროცესებში.“ - თქვა გიორგი ელიაძემ.

შეხვედრას ესწრებოდნენ პოლიტიკური პარტიების,არასამთავრობო ორგანიზაციის, მედიის და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები. კამპანია იმართება პროექტის„თანასწორობა იგებს” ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს„ ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (**IFES**) მხარდაჭერით.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - ადგილობრივი არასამთავრობოების სამონიტორინგო ობიექტი

- იმიტომ, რომ დღეს პოლიტიკა არის ზედმეტად „მამაკაცური და აკლია ქალების ხედვა და გამოცდილება!

- იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ამომრჩევლების უმრავლესობა!

თვითმმართველობის არჩევნებს ოზურგეთსა და მთლიანად გურიაში **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია)** ოზურგეთის წარმომადგენლობა ტრადიციულად დააკვირდება და მონიტორინგს გაუწევს როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე კენჭისყრის დღესა და შემდგომ ეტაპზე. წარმომადგენლობის ხელმძღვანელის **თამაზ ტრაპაიძის** თქმით, სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, წინასაარჩევნო პერიოდი გურიაში გარკვეულ ჩარჩოებში არის მოქცეული:

„ზოგადად, წინასაარჩევნო პერიოდი ქვეყანაში დაძაბულია, მაგრამ, სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, გურიაში მოქცეულია გარკვეულ ჩარჩოებში. არის რაღაც დარღვევები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების თვალსაზრისით, რომელიც შესწავლისა და დაკონკრეტების პროცესშია. შემოდის არაერთი ინფორმაცია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე, მაგრამ ყველა ინფორმაციას არ ახლავს შესაბამისი მტკიცებულებები და ჩვენც, ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ მოვიკვლევთ ხოლმე. ამ სახის ინფორმაციას მხოლოდ ინფორმაციის დონეზე ვტოვებთ. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ვერც საჩივარს დავწერთ და ვერც ადმინისტრაციულ დარღვევაზე ვისაუბრებთ. ვიმოქმედებთ მხოლო მაშინ, როდესაც შესაბამისი მტკიცებულებები გვექნება.

ერთი საკითხი უკვე გასაჩივრებული გვაქვს ჩოხატაურის საოლქო კომისიაში და ველოდებით პასუხს. აქვე ვმუშაობთ კიდევ ერთ საკითხზე, ადმინისტრაციული რესურსის, კონკრეტულად ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებაზე წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში. ამ საკითხზე უკვე მტკიცებულებები გვაქვს და შესაბამისი მოწმეც გვყავს.ასევე ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენებასთან, შესაძლოა, მოსყიდვასთანაც კი გვქონდეს საქმე ოზურგეთში. არ ვიცი, საბოლოოდ რაზე გავალთ, ჯერჯერობით მტკიცებულებების პროცესში ვართ.

რაც შეეხება ფულად თუ სხვა სახის შემოწირულობებს, კანონით დაშვებულია, ოღონდ ეს ყველაფერი უნდა იყოს დეკლარირებული. თუ ასე არ არის, მაშინ სერიოზული დარღვევაა. ამ წუთში მსგავს ინფორმაციას არ ვფლობთ. თუ გამოჩნდება, რა თქმა უნდა, გვექნება შესაბამისი რეაგირება“.

როგორც გვატყობინებს **სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)**, რომელსაც წარმომადგენლობა ოზურგეთშიც ჰყავს, 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების გრძელვადიან წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგს 24 ივლისიდან ახორციელებს საქართველოს ყველა საარჩევნო ოლქში ორგანიზაციის 70 გრძელვადიანი დამკვირვებლის მეშვეობით. გამოვლენილ დარღვევებზე ორგანიზაციამ უკვე გამოაქვეყნა ორი წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის შუალედური ანგარიში. ოზურგეთში თემში გამოვლენილია შემდეგი დარღვევები:

- სოფელ მერიაში გამგებლის წარმომადგენელ გრიგოლ კოსტავას 4 სექტემბერს გამგეობამ ხელშეკრულება აღარ გაუგრძელა. როგორც კოსტავა ამბობს, სამუშაო საათებში ოზურგეთის მერიაში დაიბარეს, სადაც მერმა - ბეგლარ სიორიძემ, რამდენიმე საჯარო პირის თანდასწრებით, მას ჰკითხა, რას აპირებდა არჩევნებზე. კოსტავამ უპასუხა, რომ მხარს უჭერს თემის მაჟორიტარს და პარტიას. სიორიძემ, რომელიც მერობის კანდიდატია, ჰკითხა, უჭერდა თუ არა მხარს პირადად მას. კოსტავამ უპასუხა, რომ ის დამოუკიდებელი კანდიდატის, კოტე შარაშენიძის მხარდამჭერია. კოსტავა აცხადებს, რომ სამსახურიდან ის პოლიტიკური პოზიციის გამო გაუშვეს.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ნათია ზედგინიძემ 4 სექტემბერს სამუშაო საათებში, თავის **Facebook**-ის გვერდზე გააზიარა **primetime.ge**-სა და **pia.ge-**ს ინფორმაცია „ქართული ოცნების“ მიერ ოზურგეთის პარტიული სიის მეორე ნომრად გიორგი ღურჯუმელიძის წარდგენის შესახებ.

- ქალაქ ოზურგეთის მერიის თანამშრომელმა ალექსანდრე(სარო) სარიშვილმა 1 სექტემბერს სამუშაო საათებში 2-ჯერ გაზიარა მერობის კანდიდატის ბეგლარ სიორიძის ფოტო, რომლის ფონზე „ქართული ოცნების“ პარტიული ნომერი და სლოგანია გამოსახული.

- 21 აგვისტოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 104 947 ლარით გაიზარდა. გაზრდილი ბიუჯეტის ხარჯზე 10 000 ლარით გაიზარდა მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა, რომელსაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ახორციელებს და რომელიც მოსახლეობისათვის 150 ლარამდე ღირებულების მედიკამენტებით უფასოდ დახმარებას ითვალისწინებს.

- 21 აგვისტოს, ქალაქ ოზურგეთის საკრებულომ ცვლილება შეიტანა 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური გადასახადებისათვის 100 ლარის ოდენობით დახმარებას“. ამავე სხდომაზე, საკრებულომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად არაფინანსური აქტივებიდან ბიუჯეტი 300 000 ლარით გაიზარდა. გაზრდილი შემოსავალი გადანაწილდა შემდეგ მიმართულებებზე: ინფრასტრუქტურული მშენებლობა - 255,000 ლარი (საგზაო - 76 200; ბინათმშენებლობა - 54 100; კეთილმოწყობის სამუშაოები - 124 700); ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 45 000 ლარი (შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება - 5 000; მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება - 9 500; ვეტერანთა დახმარება – 9 500 ლარი, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება ბინის ქირით - 5 000; ერთჯერადი ფულადი დახმარება - 12 000 ლარი).

- 29 ივლისს და 12 აგვისტოს, ქალაქ ოზურგეთის მერიის მიერ უფასო სამედიცინო მომსახურების საქველმოქმედო აქცია გაიმართა. მოსახლეობას სამედიცინო კვლევები და კონსულტაციები ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის ექიმებმა გაუწიეს. სამედიცინო აქციაში ქალაქის მერი ბეგლარ სიორიძეც ჩაერთო და მოსახლეობასთან ერთად ექოსკოპიური კვლევა ჩაიტარა. აქცია საბავშვო ბაღის შენობაში გაიმართა. ოზურგეთის მერიის პრესსამსახურის ხელმძღვანელის ხათუნა შარაძის თქმით, აქციის ინიციატივა ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალიდან წამოვიდა და მერიის სამსახურმა მხოლოდ ინფორმაცია გაავრცელა სააგენტოებსა და სოციალურ ქსელში. შარაძის განცხადებით, მერიის მხრიდან ფინანსური ხარჯი არ გაწეულა.

- 10 სექტემბერს, „ქართულმა ოცნებამ“ გურიის სამივე მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატები წარადგინა, სადაც „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელმა დააფიქსირა, რომ მოქალაქეები, მათ შორის საჯარო მოხელეები, სამარშრუტო ტაქსებით ჩამოიყვანეს. რამდენიმე მათგანმა დამკვირვებელთან პირად საუბარში აღნიშნა, რომ იძულებით იყვნენ წამოსული. წარდგენის პარალელურად, პარტიის ადგილობრივი კოორდინატორების მიერ მოქალაქეების აღრიცხვაც ხორციელდებოდა. კერძოდ, სახელ-გვარის გასწვრივ მოსულ მოქალაქეებს ხელს აწერინებდნენ. „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლის მიერ აღნიშნული ფაქტის დაფიქსირებამ პარტიის ერთ-ერთი კოორდინატორის გაღიზიანება გამოიწვია.

- 24 სექტემბერს, ოზურგეთის №6 საარჩევნო უბნის შენობაში უცნობმა პირებმა დაამტვრიეს კომისიის შესასვლელი კარი, ჩამოხიეს საარჩევნო დოკუმენტაცია, მათ შორის, ამომრჩეველთა სიები.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის თემში „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატი მინდია კეჭაყმაძე აცხადებს, რომ თავისი ნათესავები და ახლობლები „ქართული ოცნებიდან“ მას თხოვენ ჩამოშორდეს არჩევნებს. მიგზავნილი პირები კი აფრთხილებენ, ხელი არ შეუშალოს ხელისუფლების კანდიდატ ალექსანდრე ღლონტს.

- სოფელ ოზურგეთის თემში ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატის• გიორგი როყვას განცხადებით, მას კანდიდატურის მოხსნას თხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურის დაკარგვით ემუქრებოდნენ. როყვა ამჟამად, შპს „მედალფას“ მედიკამენტების შესყიდვის და ხარჯვითი ნაწილის განყოფილების ხელმძღვანელად მუშაობს.

- ოზურგეთის №60 საოლქო კომისიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი, ნინო ბურჭულაძე ამბობს, რომ 27 აგვისტოს, ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში ვიდეოკამერით იღებდა სამუშაო პროცესს. ამ ფაქტით გაღიზიანდა საოლქო კომისიაში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი მათე სკამკოჩაშვილი. მან ბურჭულაძეს გადაღების შეწყვეტა მოსთხოვა, შემდეგ კი კამერის დამტვრევით დაემუქრა და კამერაზე ხელი აუკრა. ბურჭულაძემ №60 ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ზვიად თენიეშვილს განცხადებით მიმართა და სკამკოჩაშვილისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა.

- 4 სექტემბერს, ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიის 13 ისეთი წევრი აირჩია, რომელთაც გასულ არჩევნებზე დაკისრებული ჰქონდათ დისციპლინური პასუხისმგებლობა. არჩეული წევრებიდან 7 ისევ კომისიის თავმჯდომარეა, 6 - საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი, ერთი კი - რიგითი წევრი. აქედან საპარლამენტო არჩევნებზე 7 წევრს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შენიშვნა ჰქონდა დაკისრებული, ხოლო 6 წევრს - გაფრთხილება.

თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით სრული დატვირთვით მუშაობს **ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი,** სადაც ისევე, როგორც ქვეყნის სხვა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებში, გაიხსნა მედიაცენტრი.

მედიაცენტრი მოქალაქეებს, ჟურნალისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, კანდიდატებსა და პოლიტიკურ პარტიებს თავაზობს ღია და ნეიტრალურ სივრცეებს ინფორმაციის გავრცელებისა და დისკუსიებისთვის, ხელს უწყობს კანდიდატებსა და მათ ამომრჩევლებს შორის დიალოგის წარმართვას, რათა მოქალაქეები გაეცნონ კანდიდატების საარჩევნო პროგრამებს და გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი.

უფრო კონკრეტულად, მედიაცენტრში შესაძლებელია: მედიაბრიფინგების ორგანიზება; კანდიდატებს შორის წინასაარჩევნო დებატების მოწყობა-ჩატარება; დაინტერესებული ჯგუფებისთვის არჩევნებთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება (ცვლილებები საარჩევნო კოდექსში; არჩევნების ადმინისტრირების, ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და ხმის მიცემის პროცედურები; არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და მათი კანდიდატების სრულყოფილი სიები და სხვ.); არჩევნების დღეს სადამკვირვებლო მისიათა ბრიფინგების ორგანიზება ჟურნალისტების, ადგილობრივი ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიებისათვის. ასევე, თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების ბრიფინგები არჩევნების მიმდინარეობის შესახებ. მედიაცენტრები უზრუნველყოფილია ლაივსტრიმების განსახორციელებლად საჭირო შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობითა და მაღალი სიჩქარის ინტერნეტით.

მედიაცენტრების ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (**USAID**) სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეთა ჩართულობის პროექტის (**ACCESS**) ფარგლებში.

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ხელმძღვანელის **გრიგოლ მახარაძის** თქმით, საარჩევნო მედიაცენტრების პროექტის ფარგლებში, ოზურგეთის ცენტრში გახსნიდან დღემდე გაიმართა 28 შეხვედრა, რომლებშიც 600-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.შეხვედრების ორგანიზატორები ყველაზე ხშირად არიან არასამთავრობო ორგანიზაციები (შეხვედრების 36%), საარჩევნო სუბიექტები (32%) და თვით დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი (21%).

თუ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი ადგილობრივი მედიასაშუალების ვებგვერდზე გამართული დებატის მიხედვით ვიმსჯელებთ, მერობის კანდიდატ ბეგლარ სიორიძესა („ქართული ოცნება“) და საინიციატივო ჯგუფის მერობის კანდიდატ კონსტანტინე შარაშენიძეს (გაირიცხა „ქართული ოცნებიდან“) შორის არსებულ აგრესიულ დამოკიდებულებას შესაძლოა, მათი მხარდამჭერების ფიზიკური დაპირისპირებაც კი მოჰყვეს. ამ და სხვა პოლიტიკურ გარემოებათა გამო, საოლქო და საუბნო კომისიებს, საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებლებს, სამართალდამცავებს, სახალხო დამცველის აპარატს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიასაშუალებებს განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულება მართებთ, რათა დემოკრატიულად წარიმართოს საარჩევნო პროცესი და ამომრჩეველს მიეცეს თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება.

თემურ მარშანიშვილი,
გაზეთი „ალიონი“

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამენტი“ ფარგლებში.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ ”ღია საზოგადოება-საქართველოს” პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ISFED
INTERNATIONAL SOCIETY FOR FAIR ELECTIONS AND DEMOCRACY

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

რას ფიქრობენ დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ და რატომ ხსნის თავის კანდიდატურას მაკვანეთელი მერაბ ვასაძე

გაზეთი „ალიონი“

ოზურგეთის №60 საარჩევნო ოლქში 10 დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატი იყრის კენჭს. გაზეთი „ალიონი“ რამდენიმე კანდიდატს დაუკავშირდა შეკითხვები დაუსვა, თუ რა არის მათი მოტივაცია ამ არჩევნებში მონაწილეობის შესახებ; რა აქტივობებს გეგმავენ არჩევის შემთხვევაში და რამდენად სამართლიანად მიმდინარეობს წინასაარჩევნო პროცესი.





მაია ზოიძე, დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატი გურიანთის საარჩევნო ოლქში:

–ქალის როლი მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, პოლიტიკასა და ბიზნესში.

არჩევნებში ჩემი მონაწილეობის მთავარი მოტივაცია არის დიდი სიყვარულით ვემსახურო ჩემ სოფელს. ჩემი გამარჯვების შემთხვევაში, მთავარი ამოცანა იქნება სოფლის მოსახლეობის ყველაზე პრობლემური – სოციალური საკითხების მოგვარება.

გურიანთაში მრავლად არიან ადამიანები, მათ შორის ახალგაზრდებიც, ორგანიზატორული, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, მიზანდასახულები, რომლებიც ჩვენი მხარდაჭერით შეძლებენ მცირე ბიზნესის დაწყებას, ხალხის დასაქმებასა და წარმატებებს მიაღწევენ. ხალხის დასაქმებით გადაწყდება ისეთი პრობლემები, როგორიცაა: ხალხის გადინება სამუშაოს საძებნელად უცხოეთში, ოჯახების შექმნა, დემოგრაფიული პრობლემები და სხვა. ვფიქრობ, სამუშაო ადგილების შექმნის შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ ოჯახებს, რომელთა არცერთი წევრი არ არის დასაქმებული.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია, სოფლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (შიდა გზები, ტრანსპორტი ყველა უბანში, სოფლის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია). ასევე სოფელში უნდა მოეწყოს ბავშვთა გასართობი და სპორტული მოედნები, სკვერი, განახლდეს. ბიბლიოთეკა.

ვფიქრობ, ამ ეტაპზე მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე, მთავარი არჩევნები ჩატარდეს სამართლიან და მშვიდ გარემოში.

ილია მამალაძე, დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სოფელ ასკანაში,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი:

–კვლავ დეპუტატობის კანდიდატად კენჭისყრა გადამაწყვეტინა ჩემი საარჩევნო პერიოდში დაწყებული საქმეების ბოლომდე მიყვანის სურვილმა. მუდამ არჩევით თანამდებობებზე ვმუშაობდი, მუდამ ვგრძნობ ამომრჩევლების თანადგომას – მეც ყოველთვის ვცილობდი და ვცდილობ გავამართლო მათი ნდობა.

სადეპუტატო უფლებემოსილების შემცირებულ, სამწლიან ვადაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ასკანი თემის ინფრასტრუქტურა. ექსპლოატაციაში შევიდა მთისპირი-ასკანა-მაღალი ეწერის 7-კილომეტრიანი წყლის ქსელი; დამთავრდა ბახვი-მშვიდობაური-ასკანის 7 კილომეტრიანი გზის მშენებლობა, დაიგო ასფალტის საფარი; თემის 3 უბანში: ნაცვალაძეების, თავართქილაძეების (ასკანა), კალანდაძეების (მზიანი) უბნებში დაიგო 340 გრძივი მეტრი რკინა-ბეტონის გზა; შეკეთდდა ასკანისა და მზიანის საბავშვო ბაღები (16 000 ლარი დაიხარჯა); მეოთხე წელია სოფელს ემსახურება სოფლის პროგრამით შეძენილი სამგზავრო ავტობუსი, რომელსაც ჩემი ინიციატივით დღის განმავლობაში 2 რეისი დაემატა, ასევე მუნიციპალიტეტმა ავტობუსის გამართულობისა და მძღოლის ხელფასისათვის წლიურად 9 300 ლარი გამოყო...

სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოში ვიყავი ჩართული აქტიურ სამუშაო რეჟიმში და მუდმივად ვაჟღერებდი ჩემი ამომრჩევლის მოთხოვნებს.

არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, მინდა ბოლომდე მივიყვანო ასკანა-მზიანის გაზიფიცირების საქმე; მინდა, როგორც აქამდე ვაკეთებდი, მეტად დავეხმარო მარტოხელა, ღრმა მოხუცებს, შშმ პირებს და სოციალურად დაუცველ ადამიანებს პრობლემების გადაჭრაში; ასევე ვფიქრობ საკრებულოს მიმართო წარმატებული მოსწავლეების მატერიალური წახალისების გაზრდის შესახებ.

ჩემი ერთ-ერთი თემა სოფელში სპორტის განვითარების ხელშეწყობა იქნება.

მეტი ყურადღება და დახმარებს სჭირდება მრავალჭირნახული ქვეყნის ხერხემალს –გლეხკაცს. უჭირს დღეს სოფელს ერთადერთი საარსებო წყარო – თხილი განადგურების პირასაა. სახელმწიფოსთან ერთად თვითმმართველობამ ამ საქმეში თავისის სიტყვა უნდა თქვას.

რაც შეეხება წინასაარჩევნო პროცესების სამართლიანობას, ავღნიშნავ, რომ როგორც ადრე, ისე ახლაც სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლები რადიკალურად უკეთეს პირობებში იმყოფებიან, როგორც ფინანსური, ისე ადამიანური რესურსის სახით, რაც მე არასწორად მიმაჩნია.

ლევან მგელაძე, დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ქ. ოზურგეთში, ცენტრი-ლაშეს საარჩევნო ოლქში, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი:

–ეროვნული მოძრაობიდან დაწყებული აქტიურად ვიყავი ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩემი მენტალობიდან გამომდინარე ვთვლი, რომ ცხოვრება არ ნიშნავს მხოლოდ საკუთარი თავისთვის არსებობას. ყველას არა აქვს საშუალება და შესაძლებლობა პოლიტიკაში ჩართვის, მაგრამ ვისაც მეტნაკლებად ეს ხელეწიფება, ვთვლი, რომ ასეთმა ადამიანებმა თავის ფუფუნებაზე უარი უნდა თქვან და ხალხის კეთილდღეობაზე იფიქრონ მათი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობით. სამწუხაროდ, ზოგი პოლიტიკოსი მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის ცდილობს პოლიტიკაში მოსვლას და მაღალი თანამდებობების დაკავებას. გასული 3 წლის განმავლობაში მე გახლდით ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და ამ მოკლე პერიოდში ნათლად ხედავდა საზოგადოება, როგორ ვებრძოდი, რამდენიმე ჩემს თანამოაზრე კოლეგასთან ერთად, ქალაქში გამეფებულ უსამართლობას, ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივ ხარჯვას, მუნიციპალური ქონების უკანონოდ გასხვისებას და საზოგადოებისთვის უამრავ ზიანის მომტანი გადაწყვეტილების მიღებას. მე ყოველთვის შეურიგებელი ვიქნები მსგავსი ქმედებების მიმართ, სადაც არ უნდა ვიყო. ვთვლი, რომ ჯერ კიდევ შემიძლია გავაგრძელო ხალხისთვის სასიკეთო საქმის კეთება.

არჩევის შემთხვევაში ჩემი მოქმედების პრიორიტეტებია: ქალაქის და სოფლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, აღდგენა-რეაბილიტაცია; კომუნალური მეურნეობის ძირითადი პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის კონკრეტული პროგრამის შემუშავება. მისი რეალიზაციის გზებისა და საშუალებების მოძიება.; ქალაქის განაშენიანების გეგმაზომიერი პროგრამის განხორციელება, იერსახის ტრადიციული ფორმების შენარჩუნება და პარალელურად ახალი რეალობის დანერგვა, მათი ჰარმონიული ურთიერთშერწყმა; მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ნაწილისთვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა, მათი ცხოვრების სიძნელეების შემსუბუქება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესების და მათი უფლებების დაცვა; მცირე მეწარმეებისა და ფერმერებისთვის ხელშეწყობა, ბიზნესგარემოს გაჯანსაღება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე ზრუნვა; მივიწყებული გურული ტრადიციების აღორძინება და თანამედროვე ცხოვრებისეულ რეალობასთან მათი შეთავსება.;ზრუნვა მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის და სასკოლო დაწესებულებების (მიუხედავად საკუთრების ფორმისა) კეთილმოწყობისთვის, კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის. ქალაქისა და სოფლის ტერიტორიებზე არსებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების კეთილმოწყობა. ბაღებისა და სკვერების მოწესრიგება, ადამიანის დასვენებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. საზოგადოებრივი სივრცეების დაცვა უკანონო გასხვისებისა და უსახური მშენებლობებისაგან.

ტრადიციად იქცა წინასაარჩევნო პროცესში სახელისუფლებო კანდიდატების მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, საჯარო მოხელეების დაშინების, სხვადასხვა დაპირებებითა თუ სხვა მიუღებელი მეთოდებით მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მცდელობა. ამ ტრადიციას არც ამჟამინდელ წინასაარჩევნო კამპანიაში ღალატობენ და კიდევ რა უმსგავსოებებს გეგმავენ ამას არჩევნების მსვლელობა და მისი შედეგები გვიჩვენებს. ჩვენ კი ვენდობით ჩვენს გონიერ და ერთგულ ამომრჩევლებს, რომლებმაც წინა ადგილობრივ არჩევნებში მომცეს საშუალება ვყოფილიყავი მათი რჩეული და ამჟამადაც ერთად სიმართლით ვიბრძოლებთ სამართლიანობისათვის.



შოთა ართმელაძე, დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატი ნასაკირალის საარჩევნო ოლქში:

.– მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება დაკავებული ვიყავი აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით, ვმუშაობდი სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. და არ შემიძლია ვიყო პასიური ახლა,როდესაც ქვეყანაში ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები მიმდინარეობს. ჩემთვის გამოწვევაა, ვიყო გაერთიანებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და ვემსახურო ჩემს მუნიციპალიტეტს, ჩემს სოფელს და ხალხს., ამიტომაც გადავწყვიტე არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ვგეგმავ ვიზრუნო სოფელში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე; აქტიური კომუნიკაცია მექნება თითოეულ ოჯახთან,თითოეულ ნასაკირალელთან,განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ადამიანებთან, მათი პირობების გასაუმჯობესებლად;. მნიშვნელოვანია ახალგაზრდების საკითხიც, რათა შეჩერდეს სოფლიდან მიგრაციის მტკივნეული პროცესი. ასევე განსაკუთრებული ყურადღება მექნება მიმართული სოფელში მოქმედი სააღმზრდელო და სასწავლო დაწესებულებებისკენ.ბაღი და სკოლა ეს ის ადგილებია,სადაც ჩვენი მომავალი თაობა იზრდება.როგორი აღზრდილებიც გვეყოლება ისეთი მომავალი ექნება ჩვენს ქვეყანას.საქართველოს ხვალინდელი დღის შემქმნელები ბაღებსა და სკოლებში არიან.

საარჩევნო პროცესი ნასაკირალში სამართლიან,კონკურენტულ გარემოში მიმდინარეობს. თითოეულ კანდიდატს აქვს თავისუფლად მუშაობის საშუალება,ზეწოლისა და შევიწროების გარეშე.

რესან გაბაიძე, დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლაითურის საარჩევნო ოლქში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი:

–ჩემი მოტივაციაა დაბაში უზრუნველვყო მოსახლეობის საყოველთაო უფლებების გამოვლინება და შეძლებისდაგვარად გავითვალისწინო ისინი. ჩემი მოტივაცია დღემდეც დიდი იყო, თუმცა ახლა მეტად გაიზარდა რადგან,ა რჩევნებამდე ცოტა დრო დარჩა და მე მზად ვარ ბრძოლა დავიწყო არა თანამდებობისთვის,არამედ ჩვენი რაიონის უკეთესი მომავლისთვის.

არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ვაპირებ მოსახლეობაში არსებული ყველა პრობლემის მაქსიმალურ გათვალისწინებას და გადაჭრას

სამწუხაროდ, დაბა ლაითურში ჭარბად გამოიყენება ადმინისტრაციული რესურსი, შესაბამისად ვფიქრობ, რომ არასამართლიანად მიმდინარეობს წინა საარჩევნო პროცესი.

–რა ფორმით ვლინდება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება?

–ერთს გეტყვით: – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლობის ოფისი ფაქტიურად „ქართული ოცნების“ შტაბადაა გადაქცეული. მე საკრებულოს მოქმედი დეპუტატი ვარ და იქ აღარ მივდივარ...



მერაბ ვასაძე, დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატი მაკვანეთის საარჩევნო ოლქში:

–მე არასდროს ვყოფილვარ ოპოზიციაში. მუდამ სახელმწიფო სამსახურში ვიყავი და ჩემს სამსახურებრივ მოვალეობას პირნათლად ვასრულებდი. ასეთი განწყობით ვარ ახლაც. მაკვანეთის საარჩევნო ოლქში დამოუკიდებელ დეპუტატობის კანდიდატად იმიტომ წარვადგინე თავი, რომ ჩემი ცოდნა და გამოცდილება ჩემი სოფლის სასარგებლოდ მიმემართა. მაგრამ შემდეგ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება შეიქმნა: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველომ“ მაკვანეთის საარჩევნო ოლქში დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატად ძალიან კარგი ახალგაზრდა, ჩვენი სოფლის შვილი ბექა თოიძე წამოაყენა.

ვმუშაობ ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკურ ცენტრ „ანასეულში,“ მთავარ სპეციალისტად.

რა გამოდის, მე მაქვს სამსახური, ჩემი საქმე და ახალგაზრდა კაცს დავუპირისპირდე არჩევნებში? მე ვთვლი, რომ ეს არ უნდა გავაკეთო, პირიქით, წარმატებები უნდა ვუსურვო. ამომრჩევლები თქვენი გაზეთის საშუალებით გაიგებენ, რომ მე ამ მოტივით ვხსნი კანდიდატურას.

„ჩვენიანია, გაატარეთ!!!“

ხანძარი, 16 ივლისი, 2005 წ.

7 ნოემბერი, 2007 წ.

ამ თემაზე, სხვადასხვა დროს ნაწილობრივ გვისაუბრია ჩვენი გაზეთის მკითხველებთან, მაგრამ ერთმა შეხვედრამ გადამწყვეტინა, ამ თემას კვლავ დავბრუნებოდი.

ამ ცოტა ხნის წინ სტუმრად ვიყავი მეგობართან თბილისში,. დაბადების დღეზე. სტუმართა შორის ერთ-ერთი მამაკაცი, ყოფილი პოლიციელი იყო, რომელიც ჩვენს რეგიონში მუშაობდა. რამდენიმე წლის წინ სამსახურიდან წავიდა.აივანზე გამიხმო:

— თქვენს ოჯახს კარგად ვიცნობ. თქვენს ოჯახს წინა ხელისუფლების დროს ვიცი პრობლემები გქონდათ. ჩემს სამსახურებრივ მოვალეობაში არ შედიოდა პოლიტიკური თემები (არც მაღალი თანამდებობა მქონდა), მაგრამ შემთხვევით გავიგე, რომ თქვენს ოჯახს ხიფათი ელოდა.

—პოლიციაშიც გვიბარებდნენ და კიდევაც დაგვაკავეს. სხვა რა უნდოდათ—ვუთხარი მე.

—დაბარებები სხვაა, ეგ უფრო მოგვიანებით იყო.ა ვტოშემთხვევა მდინარე ბჟუჟის ხიდთან ოგეგმებოდა. მე სანდო მეგობრის საშუალებით მიგანიშნეთ, რომ ფრთხილად ყოფილიყავით. საბედნიეროდ კარგად ხართ — მითხრა მან.

ორი თვეა ამ თემზე ვფიქრობ, იმ გაჭირვებასა და დევნაზე, რაც ჩვენ, (ისევე როგორც ბევრმა სხვამ) გადაიტანა იმ 9 წელიწადში.

* * *

7 წელი ვიმუშავე საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის გურიის სამხარეო ორგანიზაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. პირნათლად ვასრულებდი ჩემს სამსახურებრივ მოვალეობას. ბევრი ცნობილი პიროვნება მუშაობდა ენის პალატაში. ერთ-ერთი გახლდათ მწერალი ოტია იოსელიანი . იგი ენის პალატის წყალტუბოს განყოფილებას ხელმძღვანელობდა. გურიაშიც იყო სტუმრად.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, იმჟამინდელ ხელისუფლებას, როგორც ეროვნული დაწესებულება, ენის პალატა არ მოსდიოდა თვალში. თანდათან დაიძაბა ურთიერთობა განათლების იმჟამინდელ მინისტრ კახა ლომაიასა და ენის პალატის თავმჯდომარე ლევან ღვინჯილიას შორის. პალატის მთავარი ოფისი თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე იყო, ოპერის თეატრის წინ.

2004 წლის ივნისში სამსახურის შესასვლელში უშიშროების თანამშრომლები ჩააყენეს.

— ეს ოფისი ჩვენს უწყებას უნდა გადაეცეს და წინასწარ აგვყავს დაცვის ქვეშ —ამ განმარტებით შემოიფარგლენ ისინი.

2004 წლის დეკემბერის ბოლო იდგა. ენის პალატის თავმჯდომარე ლევან ღვინჯილიამ დამირეკა და მითხრა: —საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა გაუქმდა და ზეგ თბილისში იყავითო.

იმ მოტივით, რომ ენის პალატის 200-მდე თანამშრომელს რამე ფორმით პროტესტი არ გამოეხატათ, მთავარ ოფისში ყველა მაგიდა და სკამი დაემტვრიათ. უარი უთხრეს ბატონ ლევანს დამფუძნებლებმა ამ სტრიქონის ავტორი აირჩიეს რედაქტორად.

არ ვმალავ, მათი საქმიანობის გამო კრიტიკულად ვიყავი განწყობილი „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მიმართ.

2007 წლის ნოემბრის დასაწყისში არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგო მორიგი აქცია დაიწყო. ოზურგეთიდან რამდენიმე მიკროავტობუსით რესპუბლიკური პარტიის და სხვა ოპოზიციური პარტიების ათეულობით წევრი და მხარდამჭერი აპირებდა თბილისში გამგზავრებას. დღის მეორე ნახევარში ურეკის გზით წავიდნენ.

გაზეთის მორიგ ნომერზე ვმუშაობდით. ყოველი შემთხვევისთვის რესპუბლიკური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე ტიფო მიქატაძეს დავურეკე და ვკითხე, როგორ მგზავრობდნენ.

—პოლიციამ ურეკში ყველა მიკროავტობუსი დაიკავა და გადაადგილების უფლებას არ გვაძლევენ, ვერ მივდივართ — იყო პასუხი.

უცებ გადავწყვიტეთ, პოლიციის მოქმედება გაგვეპროტესტებინა და თავად ჟურნალისტები წავსულიყავით აქციაზე. „ალიონის“ თანამშრომლის გია გოგოლაძის „ჟიგულით“ და ტიფო მიქატაძისა და ლელა ნაცვალიძის მიერ ნაშოვნი კიდევ ორი მსუბუქი ავტომობილით, გვიან ღამით დავიძარით თბილისისკენ. ჩვენთან ერთად იყო გაზეთ „გურია ნიუსის“ ჟურნალისტი გიორგი გირკელიძე.

თუ რა სიტუაცია იყო საქართველოს დედაქალაქში ამის აღწერას არ შევუდგები. 7 ნოემბერს ხელისუფლება მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს სასტიკად გაუსწორდა.

ოზურგეთში დაბრუნების შემდეგ ტიფო მიქატაძე დააკავეს და 5 დღე ამყოფეს პოლიციაში.

გაზეთი უმკაცრესი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. წლის ბოლოს ძალიან მკაცრი და მამხილებელი სტატია დაიბეჭდა, რომლის ადრესატი ძირითადად იმჟამინდელი პარლამენტის ერთ-ერთი დეპუტატი იყო.

დაიწყო დაბარებები, ჯერ სამხარეო პოლიციის იმჟამინდელ უფროსთან, შემდეგ სხვაგანაც. გვიან ღამემდე გრძელდებოდა გასაუბრებები. მივიღე გადაწყვეტილება, გაზეთის გამოშვება შემჩერებინა.

ნამდვილად მადლიერი ვარ იმჟამინდელი გუბერნატორის მიხო სვიმონიშვილისა, რომელმაც მირჩია, ეს არ გამეკეთებინა. 10 დღიანი პაუზის შემდეგ გაზეთის გამოშვება განვაახლე...

2008 წლის ზაფხულის დასაწყისში გაზეთ „ალიონში“ დაიბეჭდა სტატია „დაშინების პოლიტიკა, განახლებული მეთოდით.“ გაზეთის გამოსვლიდან 2-3 საათში რედაქციის სახანკო ანგარიში დაყადაღეს. ამის შესახებ საგადასახადოდან მაცნობეს. საგადასახადო ინსპექციის უფროსთან მივედი ოზურგეთის„თეთრი სახლის“ პირველ სართულზე...

—არ წამიკითხავს, ისე მოვაწერე ხელიო —იყო საგადასახადო ინსპექციის იმჟამინდელი უფროსის „გულწრფელი“ პასუხი. თანხა,რომლის გადახდასაც მაკისრებდნენ, რედაქციის ერთი წლის მთლიანი შემოსავალს მნიშვნელოვნად აჭარბებდა.

მეოთხე დღეს საგადასახადოს უფროსი გათავისუფლეს. ანტონ ბარამიძე დაინიშნა აღნიშნულ თანამდებობაზე. მან ყველაფერი გააკეთა,რომ დაკისრებული სახდელის 2/3 მოეხსნა, მაგრამ რაც გადავიხადეთ, ისიც ძალიან დიდი დატყმა დარჩა „ალიონისთვის.“

გაზეთი „რეზონანსი“ სტატიაში „რა ხდება გაზეთ „ალიონის“ გარშემო“ წერდა:

—*„არ გკარგავდით იმედის ნაპერწკალს, რომ ხელისუფლების მიერ საჯაროდ დეკლარირებული „დემოკრატიის მორიგი ტალღისა “ და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულებების ფონზე ქვეყანაში მედიის თავისუფლება გაუმჯობესდებოდა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით რეალურად არაფერი იცვლება, ხელისუფლება ყველა დონეზე, თითოეულ ადგილზე ებღაუჭება ძალაუფლებას, რასაც ემსახურება მედია საშუალებებით „მოთვინიერებისა“ და მრთვის პოლიტიკა პირდაპირი და ირიბი, უკანონო და სხვა შესაძლებლო დაუშვებელი გამოყენებით.*

გაზეთი „ალიონი“ ამ პოლიტიკის მორიგი მსხვერპლი ხდება. ვიცნობთ რა საკაშვილის ხელისუფლებაში გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგიას, რომელიც ოდნავ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაშიც კი ხელისუფლების მაღალი თანამდებობების პირების ჩარევას ითვალისწინებს, ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ძალადობის წყარო გურიის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულისა და მისი გუნდიდან მომდინარეობს“ — კომენტარს აკეთებდა „რეზონანსთან“ ერთ-ერთი პოლიტიკოსი.

(გაზეთი „რეზონანსი,“ 24 ოქტომბერი, 2009 წელი, №287).

2008 წელს შეიქმნა რეგიონული მედიის ურთიერთდახმარების ფონდი. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 8 მედიასაშუალებას შორის. ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი გაზეთი „ალიონიც“ იყო. ფონდს პაატა გურგენიძე ხელმძღვანელობდა.

ფონდის მიზანი წევრი გაზეთების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა იყო და პირველ ეტაპზე 2-წლიან უპროცენტო სესხს გამოჰყოფდა წევრი გაზეთებისთვის.

გაზეთმა „ალიონმა“ ფონდში წარადგინა პროექტი „საგაზეთო ჯიხური“. მიზანი, რედაქციას გასჩენოდა დამატებითი ფინანსური შემოსავლის წყარო, რაც „ალიონის“ ფინანსურ დამოუკიდებლობას შეუწყობდა ხელს. ფონდს პროექტისთვის 2500 ევრო უნდა გამოეყო.

რედაქციამ წერილობით მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას, ქალაქის ცენტრში 20-წლიანი ოჯარით გამოეყოთ ფართი გაზეთის 2 ჯიხურისთვის.

შევხდი რაიონის იმჟამინდელ გამგებელ ავთანდილ მექვაბიშვილს,შესაბამის სამსახურებთან გავიარეთ კონსულტაციები, შევთანხმდით, რომ ეს ჯიხურები თანამედროვე არქიტექტურული დონის უნდა ყოფილიყო და დავიწყეთ შესაბამისი მოქმედებები.

ჯიხურის ესკიზი არქიტექტორმა ფილიპე ჭკუასელმა მოამზადა...

დაიწყო საქმის გაჭიანურება.. ბოლოს გმირთა მოედნის მიმდებარედ ვითხოვდით ადგილს. იქ მართლაც დიდგა ჯიხური, ოღონდ სხვისი...

2011 წლის 21 მარტს „ჭადრების ბაღში“ საროტესტო აქცია გავმართეთ. „შეწყდეს გაზეთ „ალიონზე“ ზეწოლა“ , „მოგვეცით საჯარო ინფორმაცია,“ „ჟურნალისტებო, დადგეთ ერთად ჩვენი უფლებების დასაცავად!!“ -იყო ჩვენი მოთხოვნა.

აქციაზე ბევრი ოზურგეთელი მოვიდა. მხარდაჭერა გამოხატეს: ტვ „გურიამ,“ გაზეთებმა „გურია ნიუსი“ და „რეზონანსი.“

შედეგი...როგორც, სხვებთან ისეთი.

2011 წელს **IRI**-ს კვლევების მიხედვით,სანდოობის რეიტინგით გაზეთი „ალიონი“გაზეთების „პრაიმტაიმის“, „24 საათის,“ „ბათუმელების“ გვერდით დასახელდა, რაც გაზეთის თანამშრომლებისთვის მხოლოდ მორალური, მაგრამ მნიშვნელოვანი სტიმული იყო, თუმცა იმ წლებში სხვადასხვა ფონდში შეტანილ საგრანტო განაცხადებზე ყველგან უარს გვუბნებოდნენ..

2011 წლის 17 ნოემბერს ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილთან რეგიონული მედიის შეხვედრა გაიმართა, რომელსაც 20-მდე რეგიონული მედიაგამოცემის წარმომადგენლები დაესწრნენ.

—*მე კარგად ვაცნობიერებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ შეხვედრას, დაძაბული რეჟიმის გამო თქვენთან ცალკე შეხვედრა ვერ მოახერხეციც როგორი წნეხის ქვეშ არიან ჟურნალისტები რეგიონებში, როგორ მუშაობენ ადგილობრივი ორგანოები ჟურნალისტების გადაბირებაზე. ჩვენ ვეცდებით, კანონის ფარგლებში ჟურნალისტებს გვერდით დავუდგეთ, ხელისუფლებას არ უნდა მივცეთ მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის უფლება* —აღნიშნა მან.

მანვე უპასუხა გაზეთ „ალიონის“ მიერ დასმულ შეკითხვებსაც.

შეხვედრიდან გამოსულებს (ვისაც ავტომანქანა არ ჰყავდა) ცენტრალური მედიასაშუალებების დიდი კორდონის გარღვევა მოუწია .ისინი პროვოკაციულ კითხვებს სვამდნენ (განსაკუთრებით აქტიურობდა „რეალ **TV**!“!). ამ სტრიქონების ავტორ და თამთა დოლიძე მთაწმინდაზე, ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციის ქვემოთ მდებარე ეკლესიაში შევედით და ასე მოვიცილეთ „კოლეგების“ კამერები.

რაღაც იმედი გაჩნდა. რედაქციის თანამშრომლებს სტიმული გაუჩნდათ, რომ სამინელ ჯოჯოხეთს თავს დავაღწევდით.

მიუხედავად დიდი წნეხისა, „ალიონი“ კიდევ უფრო აქტიურობდა არსებული რეჟიმის მხილებაში.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ყველაზე ცუდი მოგონება 19 აგვისტოს, ბახმაროზე მომხდარი ინციდენტით დაგვამახსოვრდა.

18 აგვისტოს ავედი კურორტზე, სადაც ჩემი მეუღლე, შვილი და ძმისშვილი ისვენებდნენ. ისინი მაშინ მე-12 კლასის მოსწავლეები იყვნენ.

დღის მეორე ნახევარში კურორტზე პოლიციელების და სპეცრაზმელების დიდი კონცენტრაციაშეინიშნებოდა. საღამოს თავად პრეზიდენტი ამოვიდა კურორტზე.

19-ში ბახმაროს ეკლესიაში ფერისცვალების საზეიმო წირვა-ლოცვის პარალელურად,მოედნის მიმდინარე ტერიტორიაზე სპეცრაზმელებით სავსე „იკარუსი“ და კიდევ რამდენიმე ავტობუსი გამოჩნდა. გავრცელდა ხმები, რომ სპეცრაზმელები კურორტის ტერიტორიაზე არ უშვებდნენ „ქართული ოცნების“ აქტივისტებს.

გაფრთხილებული იყვნენ და რამდენიმე ტაქსმა უარი გვითხრა ბახმაროს შესასვლელში მიყვანაზე: —მანქანას ჩამოგვართმევენ —უარის მიზეზს ასე ხსნიდნენ ისინი.

ფეხით გავემართე ოჯახის წევრებთან ერთად კურორტის შემოსასვლელისკენ. ნისლი იდგა, მაგრამ გზის გაყოლებაზე ტყეში ვხედავდი ყოველ 20 მეტრში მდგომ შავფორმიანებს.

კურორტზე შესასვლელიდან 300 მეტრში პოლიციის დიდი კორდონი იდგა. მათი რაოდენობა მატულობდა. კრიტიკული სიტუაცია მას შემდეგ შეიქმნა, რაც „რეალ **TV**“ თანამშრომელმა პოლიციელებს ჩვენზე ანიშნა და უთხრა, რომ ჩვენ ჟურნალისტები ვიყავით.

იქაურობას გავეცალეთ და ხშირ ნისლში „დავიმალეთ.“ სხვა გზით გავემართეთ შემოსასვლელისაკენ.

შემოსასვლელთან ლანჩხუთელი და ჩოხატაურელი 70-მდე ახალგაზრდა იდგა. მათთან იყო შემდგომში საქართველოს პარლამენტის წევრი თემურ ჩხაიძე. ადრე იგი ცხინვალის „სპარ-

▶▶▶ გვ-6

„ჩვენიანია, გაატარეთ!!!“

ტაკის“ ერთ-ერთი მწვრთნელი იყო.იმ პერიოდში ჩემი ძმისშვილი „სპარტაკის“ ახალგაზრდულ შემადგენლობაში თამაშობდა. მე და ჩემმა მეუღლემ ახალგაზრდები გზის ზემოთ დავტოვეთ, მაგრამ მალე ჩვენს გვერდით იყვნენ. თემურ ჩხაიძესთან ინტერვიუს ვწერდით, გაისმა ე.წ. „სამეგრელოს სპეცრაზმის“ უფროსის ბრძანება –შეჰყარეთ!

უცებ შემოარტყეს ალყა სპეცრაზმელებმა ლურჯმაისურიან ახალგაზრდებს და მიკროავტობუსში შესვლა აიძულეს. მე ჟურნალისტის მოწმობა ამოვიღე და ვიყვირე – ხელი არ მახლოთ, ჟურნალისტი ვარ!

ხმამაღლა გაიცინეს ჟურნალისტის ხსენებაზე.

თვალებით ვეძებდი ჩემებს. ისინი სპეცრაზმს გორის ძირში მოემწყვდია. მეუღლე ბიჭებს გადაფარებოდა. სპერაზმელები ცდილობდნენ ბიჭების წაყვანას. მე მოვახერხე მათთან მისვლა. სპერაზმის ერთ-ერთმა ოფიცერმა კლდის პირას დაგვაყენა დასპეცჯგუფს უბრძანა, ჩვენთვის გადაადგილების საშუალება არ მიეცათ.

მეუღლე –ნინო ნიკოლაიშვილი მათ მიმართავდა:– თქვენ ერთი კაცის ახირებას კი არა, სამშობლოს უნდა ემსახუროთ!

სპეცრაზმელები ჩვენს გასაღიზიანებლად ხელში „დუბინკებს“ ათამაშებდნენ და დაგვცინოდნენ.

მე ამ დროს მხოლოდ ერთზე ვფიქრობდი, ბიჭებს არ შეხებოდნენ.

ინფო 9-ის ჟურნალისტებმა გამოიარეს მანქანით. ვანიშნე, გადაიღეთ-მეთქი...

როგორც შემდგომ ეჟურნალისტმა აგვიხსნა, მათ რომ ტელეკამერა დაეკავებინათ ხელში და გადაღება დაეწყოთ, მათ კამერას დაუმტვრევდნენ.

კურორტისაკენ მიდიოდნენ შავი და თეთრი „პიკაპები,“ „ვიპები...“ მათ აჩერებდნენ, ზოგს უკან აბრუნებდნენ. ზოგჯერ მეთაურის ბრძანება გაისმოდა:– „ჩვენიანია, გაატარეთ!“...

წვიმდა... ალბათ 2 საათი ან მეტი დრო გავიდა. ამ დროისთვის დღეც დამთავრდა და პურობაც. ნელ-ნელა შეთხელდა შავფორმიანთა რიგები.

ჩვენი გაშვების ბრძანებაც მოვიდა. სპეცრაზმელების პოლიციის კორდონის შუაგულში„ალაიაში“ გაგვატარეს...

2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა, მაგრამ მორალურად და ეკონომიურად დასუსტებულ გაზეთს დახმარება სჭირდებოდა.

რედაქციამ რამდენიმე მნიშვნელოვანი,, შეცდომა დაუშვა“: პირველი, ვერ შეეგუა კოჰაბიტაციის პროცესს და ამით „ქართულ ოცნებაში“ სწრაფად გადმოპორტირებული ადამიანებისაგან შესაბამისი რეაქცია მიიღო;

ვერ მოახერხა ურთიერთობა ფონდებთან და საგრანტო დაფინანსების მიღება;

ვერ გადავახალისეთ გაზეთის ტექნიკური ბაზა და უსახსრობის გამო ბოლომდე ვერ შეეძელით ვებ-გვერდის მოდერნიზაცია;

ერთ-ერთი მიზეზი მედიაში საერთოდ არსებული არაჯანსაღი კონკურენციაცაა..რითაც ძირითადად მანც მედიასაშუალებები ზარალდებიან.

ამან და ბევრმა სხვა ფაქტორმა განაპირობა ისრომ „ალიონმა“ წელს ვერ მიიღო პარტიებისაგან სარეკლამო თანხები. (გამონაკლისი მხოლოდ „ქართული ოცნების“ მცირე შეკვეთაა).

ვერ მოვერგეთ არსებულ კონიენქტურას, რადგან რედაქციის თანამშრომლებისთვის უპირველესი ჟურნალისტური ეთიკის ნორმებია...

ნაწილობრივ ჩვენი სათქმელი ვუთხარით ჩვენს ერთგულ მკითხველებს.

გაზეთი „ალიონი,“ ერთ-ერთი ძველი გამოცემაა არა მარტო რეგიონში, არამედ საქართველოში, (მისი ასაკი 87 წელს ითვლის), იგი რამდენიმე წელია სტაბილურად გამოდის, ახლა კვლავ საფრთხის წინაშეა...

ნუგზარ ასათიანი.

შეხვედრა ბიძინა ივანიშვილთან. 17 ნოემბერი, 2011წ

სკანვორდი



№ 38-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — გიორგი დოლიძე; კიდობნის ამგები — ნოე; პირველი ევროპელი — ზეზვა; დედმამიშვილი –ძმა; ერთგვარი კანფეტი — ირისი; მეოთხე ნოტი — ფა; თაღი — არკა; ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში — ლუქსემბურგი; ძაბრის ფორმის ქარიშხალი — ქარბორბალა; ხან რომ ავანსადაც გასცემენ — ნდობა; გველეშაპის განმგმირავი — გიორგი; ბგერის წერითი ნიშანი — ასო; ერთგვარი სამშენებლო ბლოკი — პენზა; საშენი მასალა — აგური; კარგი ამინდი — დარი; ფრანგი ქართველოლოგი ... — ბროსე; მეთაური — ატამანი; საფოსტო ფრინველი — მტრედი; ჰიტლერული გერმანიის გავლენიანი პირი — გებელსი; ტანსაცმელი — სამოსი; სიკვდილით დასჯის მანქანა — გილიოტინა; გამხმარი თევზი — ტარანი; მარცვლოვანი კულტურა — სიმინდი; ნაბეჭდი პროდუქცია — რიფლეტი; ქალაქი ბელარუსში — ლიეპაია; გაზაფხულის ყვავილი — ია; პურის სოკო — ობი; თვალის ბუდე — ფოსო; ცურვის სტილი — ბატერფლაი; პოეტი ... - — უკრაინკა; პურის მოსავლის აღება — მკა; პიესების მწერალი — დრამატურგი; მოედანი ბათუმში — ერა; დიდი ყინულოვანი მასა — აისბერგი; ანბანის მე-9 ასო — ი; ქალის სახელი — ანა; კედელზე აჭედებენ — ლურსმანი; სამხრეთ ამერიკული ცეკვა — სამბა.

ქალაქი ოზურგეთი

დასაწყისი იხილეთ №№29-32, 37-38 34 2017 წელი

სატახტო ვარდანისძე გურიელებისა

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის სამუზეუმო საქმის სპეციალისტი

ვაშნარი

X-XI საუკუნეში გამოჩნდნენ გურიის პირველი ერისთავთ-ერისთავები ისტორიის ავანსცენაზე. წერილობით წყაროების მიხედვით ამ მხრივ აღსანიშნავია ჯუმათის მთავარანგელოზის მონასტერში დაცულ წმინდა გიორგის ხატის ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებული ერისთავთ - ერისთავის ვარდან ვარდანის ძის სახელი.

წარწერა წმინდანისადმი (წმგიორგი) ვედრების ხასიათისაა, მაგრამ ეჭვი მონასა შენსა ერისთავთ-ერისთავსა ვარდან ვარდანისძესა, ამინ.

ჯუმათის წარწერაში მოხსენიებულ ერისთავთ-ერისთავს გურიის მხარეთა ერისთავები ემორჩილებოდნენ, მაგრამ სად იყო ამ ერისთავთ - ერისთავისათვის რეზიდენცია? ან ვინ იყვნენ ის ერისთავთ-ერისთავები რომლებიც ამირა აგარანის-ძურვან ერუს შემოსვლის დროიდან მართავდნენ გურიას? ციხე ქალაქი ვაშნარი ამ მხრივ დამფიქრებელია. ასევე ითქმის ციხისძირის მიდამოებში არსებულ პეტრას ნაქალაქევზე, ბარბაროსულად რომ მოსტეხეს,მოსწვეს და დანგრიეს ოესტინე კეისრის სტარტეგოსთა ბრძანებით ბიზანტიელთა ლეგიონერებმა.

არცერთი წერილობითი წყარო ამ ეპოქაში ეგრის ლაზიკაში დასავლეთ საქართველოში გურიის მხარეში ერისთავთ-ერისთავს, გუბაზ კოლხთ მეფის ზეობაში არ იხსენიებს, მაგრამ მთი არ არსებობა ,,ქედ ფიცხელთა ქვეყანაში'' გამორიცხულია. გამორიცხულია მთი ყოფა მკვიდრობა საჯდომი ციხე ქალაქის გარეშეც.

არც პროკოფი კესარიელი და არც აგათია სქოლასტიკოსი, თავიანთ მასალებში ვაშნარის ნაქალაქს თუნდაც ზედაპირული ,,შეხებითაც'' კი არცერთ მონათხრობარში არ იხსენებს,მაგრამ ეს გარემება სრულიადაც არ გამოდგება იმის მოწმობად და დასტურად რომ ეგრისში მიმდინარე ,,დიდ ომიანობის'' დროს გურიის მხარის ეს მკვიდრად ნაგები ფორპოსტი არ არსებობდა ან იგი მხარის ერისთავთ-ერისთავის გარეშე განაგრძობდა არსებობას.

1949 წელს ვაშნარი არქეოლოგიური წერაქვის, მარჯვე ხმარების შედეგად წარმოჩინა მზის სინათლეზე განსვენებულმა გერმანე გობეჯიშვილმა, რის შედეგადაც მრავალ საპრობლემო და ,,თავსატეხ'' საკითხს დაესვა წერტილი.

,,დასავლეთ საქართველოში-წერდა ღვაწმოსილი მკვლევარი, - გათხარა ადრე ფეოდალური ხანის მნიშვნელოვანი ძეგლი. ეს არის ძველი ლაზიკის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ძეგლი, ციხე ,, ქალაქის ნაშთები ვაშნარში, ოზურგეთის რაიონში.

ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი დიდი ხანა ვარაუდობდა ამ ძეგლის შესწავლას, მან საგანგებოდ დათვალიერა იგი და ზოგიერთი წინასწარი მოსაზრებაც კი გამოთქვა მასზე, მაგრამ ციხე ქალაქის გათხრა უახლესი წლებისათვის არ დაუგეგმავს, რადგან ამ შრომატევად სამუშაოს სათანადო სამხადისის ჩატარება უნდოდა.

ინსტიტუტი იძულებული გახდა განზრახვაზე უფრო ადრე შედგომოდა ვაშნარის გათხრებს, რადგანაც იქ დაიწყო ჩაის ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც ძეგლის დაზიანებით ემუქრებოდა. ვაშნარის ექსპედიციამ გათხრითი სამუშაოები 1949 წელს დაიწყო. შემღლებული ადგილი ვაშნარი, სამი მხრიდან შემოზიდულია ფლატე ნაპირებიანი მდინარეებით. ბუნებრივად გამაგრებულ ამ ვრცელ ფართობზე ჩვენს წინაპრებს დამატებითი ზღუდეებიც აუგიათ, ესენია ქვითკირის მტკიცე კედლები, რომლებიც პარალელარად გამავალ მდინარე ნატანებისა და მდინარე სკურდუმის ნაპირებს იერთებს და ნაწილობრივ მათ გასწვრივაც გაუყვება. ქალაქის ყოველ მხარეზე ეფილ-ეფილი ზღუდეა, რაც თავდაცვის უზრუნველსაყოფად შენდებოდა. შიდა ზღუდის კედლებთან ყოველ ორმეტრზე აგებულია მცირე კოშკები (5X5) და სხვა შენობები, რომლებშიაც აღსანიშნავია ადრე ქრისტიანული ხანის ეკლესია და რომელიღაც სხვა სამლოცველოს ნაშთები.

ეკლესია დიდი, სამნავიანი ნაგებობა ყოფილა, მისი საკურთხევლის აპსიდა ხუთწახნაგოვანია, საკუთრივ საკურთხეველი კი სფეხურებიანი და თანაც მარმალილოს ფილებით მოპირკეთებული. გათხრებმა დაამტკიცა რომ ყოველ შემთხვევაში იატაკი მანც იყო მარმალილოსი. სამლოცველო დარბაზში შემონახულია თაღის ძირები და სვეტების ნაწილები ჩანს დარბაზის ჭერს სვეტები და თაღები ამაგრებდა, იქვე გამართული ყოფილა სანთლავი და წარჩინებულთა აკლდამები.

არა ნაკლებ საყურადღებო გამოდგა მეორე ,,სამლოცველოს'' ნაშთები, მართალია ბევრი რამ მასში კიდევ გაურკვეველია, მაგრამ ის, რაც გათხრებით გამოვლინდა, მუთითებს მისი მშენებლობის მაღალ კულტურასა და ოსტატობაზე.

სამლოცველო წარმოადგენდა დამრეც კედლებიან ორსართულიან ნაგებობას. ქვედა სართული მთლიანად ამოვსებული ყოფილა ღორღით და, მაშასადამე არავითარი სათავსის ან სამლოცველოს დანიშნულებას არ ასრულებდა, ის იყო თავისებური კვარცხლბეკი, რომელსაც ზემოდან ედგა სენაკანი მეორე სართული, ერთი მოზრდილი სენაკი დასავლეთით, რომელიც ჩვენს დრომდე აღარ შემონახულა, ალბათ ღორღით და, მაშასადამე არავითარი სათავსის ან სამლოცველოს დანიშნულებას არ ასრულებდა, ის იყო თავისებური კვარცხლბეკი, რომელსაც ზემოდან ედგა სენაკანი მეორე სართული, ერთი მოზრდილი სენაკი დასავლეთით, რომელიც ჩვენს დრომდე აღარ შემონახულა, ალბათ

საკუთრივ სამლოცველოს წარმოადგენდა ჩრდილო, პატარა სენაკი საკურთხევლის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო სამხრეთი სენაკის დანიშნულება ჯერჯერობით აუხსნელი რჩება.

ამ ნაგებობის ჭერი დაყრდნობილი ყოფილა, დიდი გემოვნებით გამოკვეთილ ქვის სვეტზე,რომლის თაღნი შემკულია აკანთის ფოთლის და ვოლუუტების სხივების გამოსახულებით.

... ვაშნარის გათხრებმა დაამტკიცა,რომ მშენებლობის საქმე V-VIII საუკუნის ლაზიკაში მტკიცე ნიადაგზე იდგა. ძლიერ მტკიცე კირის ღუღაბი,არაჩვეულებრივ კარგად გამომწვარი აგური და კრამიტი, საკმაოდ კარგად გათლილი ტუფის ქვა, მხატვრულად დამუშავებული მარმალილო და ქვიშაქვა, იატაკის გასამართავად ხმარებული დანაყილი აგურისა და ქვიშის ხსნარი ნაგებობებს სიმტკიცეს აძლევდა და ლაზათს მატებდა. ასევე გულმოდგინეთ უზრუნვიათ ძველ ვაშნარელებს წყალსადენის გამართვისათვის.

წყალი გამოუყვანიათ ძლიერ შორი მანძილიდან დახურული თიხის მილებით. წყალსადენის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით,სადაც კი ეს შესაძლებელია, მილები მიემართება ნაგებობათა სახრკვლების ქვეშ კედლების გასწვრივ.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა ერქვა ძველად არქეოლოგიური გათხრების საგნად ქცეულ ქალაქს დღევანდელ ვაშნარში. მომავალი გათხრები ალბათ ამ საკითხსაც მოჰფენს შუქს, ეს მით უფრო საიმედო ჩანს რამდენადაც ქალაქის ნანგრევებს შორის უკვე დაიწყო გამოჩენა წარწერათა ნატეხებმა, მაგრამ ქალაქის სახელწოდებაც რომ არ დადგინდეს, ძეგლის ღირებულებას ამით ჩრდილი მანც არ მიადგება.

ჩვენს წინაშე დგება ისტორიულ წყაროებში აქამდე უცნობი დასავლურ-ქართული ციხე-ქალაქი,მსგავსი და ალბათ თანამედროვე ისეთი ძეგლებისა როგორიცაა შორაპანი, სკანდა, ვარდციხე, ნოქალაქევი.

სამწუხაროდ, განსვენებული ბატონი გერმანე გობეჯიშვილის შემდეგ მომავალ მკლევართ. ძალზე ცოტა რამ დარჩათ მოსაძებელი ვაშნარის ციხე ქალაქის სიძველეთა გამოვლენის თვალსაზრისით, რადგანაც ძეგლი გურიანთის ჩაის ფაბრიკის მშენებლობის ზვარაკი გახდა. სამეურნეო ძალაყინებმა დაჩრდილა გურიაში მურვან ერუს სარკინოზთა ცეცხლოვანი ნაკვალევი. ისევ ბატონ გერმანეს მოუსმინოთ: დღეს ავზომეთ და ჩავიხატეთ ის კედლები, რომლებიც შემორჩენილია ჩვენს დრომდე. ეს ყოველივე გრანდიოზულ ტერიტორიას მოიცავს.

... უკვე ორი თვე გრძელდება რაც ვაშნარის არქეოლოგიური ექსპედიცია უჩემოდ მუშაობს. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურ კომისიასთან ერთად 28 მაისს გავემგზავრე თბილისში. უკან დავბრუნდი 26 ივლისს. ვაშნარში ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ არქიტექტორი ირაკლი ციციშვილი და მოლარე ტ. ნებიერიძე.

ჩემს ჩამოსვლამდე გათხრებს ხელმძღვანელობდა ოთარ ღამბაშიძე, მასთან მუშაობდნენ მხატვარი კვესი, ფოტოგრაფი კვენი, და უფრო გვიან მოვლინებული დ, სახუტაშვილი, ე. გოგაძე და ნ. კაკულია..

ვაშნარში ასეთი სურათი დამხვდა: ჩაის ფაბრიკის მშენებელთ უკვე მოუსწრიათ ქალაქის ძველი კედლის დანგრევა. ნატანებოზურგეთის სამანქანო გზიდან №1 სათავსამდე და ამ კედელზე მიშენებული მეორე სათავსოც, რასაკვირველია ზედ მეყოლებიათ. ამ ძველ ნაგებობათა სახრკვლები მოქცეულია ჩაის ფარ\ბრიკის დამხმარე ნაგებობათა სასადილოს და კლუბის ქვეშ".

იმ წარწერათა ფრაგმენტებიდან, რომელთა შესახებაც ვაშნარის სიძველეთა წყაროები გვაუწყებს,აღსანიშნავია ბერძნულ წარწერიანი კრქვის მოგრძო ფერის ქვის ბერძნული წარწერა; რომლის შესახებაც პროფესორი თინათინ ყაუხჩიშვილი აღნიშნავს: ქვაზე ამოკვეთილია სამი, დაახლოებით ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვა, რომელიც ნიშნავს: გამასპინძლებას, მოწვევას, წვეულებას, ეს ცალკე სიტყვები რომ ვთარგმნოთ გვექნება: ,,წვეულთა შორის ქალწულებრივი, ან ქალებისათვის... გარდაუვალნი... ყოველნი ნათლისღება.'' ყველაზე რეალური მნიშვნელობა ამ უკანასკნელ სიტყვას აქვს. რადგან აქ მოხსენებულია სამოვდელო მსახური. ნაგებობის ერთ ნაწილს სანთლავი უნდა ჰქონოდა".

მეხუთე-მერვე საუკუნის საეკლესიო წყაროები ,,პირდაპირი'' მნიშვნელობით არაფერს გვიმხელენ იმის შესახებ თუ რომელი საეპისკოპოსო კათედრას ექვემდებარებოდა იერარქიულად ქრისტიანული ეგრის-ლაზიკის ვაშნარის სამლოცველო, მაგრამ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მასალების ნოტიციების ანალიზით ცხადდება რომ მეხუთე-მერვე საუკუნეში დასავლეთ საქართველო ეკლესიურად ამავე საპატრიარქოს ფარგლებში შედიოდა.

ამ მონაკვეთში (V-VIII ს-ში), კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ფარგლებში გაერთიანებული იყო სამი საეკლესიო ოლქი: აფხაზეთის, ჯიქეთისა და ლაზიკის მიტროპოლები. დასახელებული მიტროპოლებიდან ჩვენთვის საინტერესოა ლაზიკის მიტროპოლია, ცენტრით ქალაქ ფაზისში, რომლის შემადგენლობაში გაერთიანებული იყო როდოპოლისის გუდაფერისა და ციციმის საეპისკოპოსო კათედრიალებთან ერთად ქალაქ პეტრას საეკლესიო კათედრა. დღეისათვის უეჭველობით დასტურდება,რომ პეტრას საეკლესიო კათედრა ბათუმის ზონაში, მდებარეობდა. ამ საეპისკოპოსოს ფარგლებში შედიოდა გარდა ბათუმის მხარისა აჭარა, რიზეს მხარე, რომელზედაც ვრცელდებოდა იერისდიქცია ლაზიკის მიტროპოლიტისა და აგრეთვე გურია.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ვაშნარის ნაქალაქარის სამლოცველოებიც პეტრას საეკლესიო კათედრალთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ვაშნარის ნაქალაქარი როგორც გურიის მხარის ერისთავთ-ერისთავთა რეზიდენცია, ადრიდანვე იწვევდა მკლევართა დაინტერესებას. რუსეთის დიდმოხელემ ლიტვინოვმა ცნობები მოსთხოვა ლევან გურიელს თუ როდის დაკარგა გურიამ აჭარა. და აგრეთვე მასალები.

1805 წლის 26 ივნარს ლევან გურიელმა ლიტვინოვს აუწყა: ,,ხინო და ქობულეთი რომ დაკარგული გვაქვს 80 წელიწადია, რკინის პალოს აქეთ ჩვენი ყოფილა. აჭარა, მაჭახელი სულ ირგვლივ, მაგრამ რამდენი წელიწადი არის მას აქეთ ჩვენ ეს არ გვახსოვს.''

გურიის უკანასკნელი და ნაადრევად დიემოსწრაფებული მთავრის, მამა V გურიელის (1809-1886წ.წ.) ,,გურიის საზღვართა აღწერილობის თანახმად, რომელიც საკუთრივ მოესწრო ,,ერთმორწმუნე რუსეთის მიერ გურიის სამთავროს მოვერაგებას, ადრე გურიის მთავრის მფლობელობაში ყოფილა: ,,სრულიად საზღვარი - რომელსაც ოსმალნი ქმერს უხმობენ, და ჩვენც გურიელნი რკინის პალოდ. მას აქეთ სოფლები:

ხოფა და ვიწე: ციხე და სოფელი გონიდ სახელდებული,, სოფელი და სპალახე. ზამთრად პირუტყვთ სამყოფი და კახბერი, რომელიც თვით გურიის ერთ-ერთ უფლისწულს წილად ხვდომია და რომლისთვისაც სახელიც ის დაუძახია - კახბერი. ბათუმი ქალაქი და ლიმენა, სოფელი ჩაქი, რომელ ჟამს დაკლდა გურიის საზღვარს რიცხვით წელიწადის მახსოვარი არა ვართ და ჟამი ესე ვიცით, რომ გურიელს გიორგის სჯერა, ციხისძირის აქეთ სოფელი ქობულეთი, ხინო, ოცი წელია, რომ მამა ჩვენს დაკლდა, არა თუ ხონთქრისაგან, არამედ ჩვენის უძლურებით მეზობლებიც ძალას გვატანდნენ, ხალხიც უძლურებაზე მიდრკა და ახალციხის ფაშას სთხოვეს და თავადი ბეგი (მაქსიმე მამუკას ძე თავდგირიძე, მაჰმადიანობაში სულეიმანი) დაისვეს პატრონად, რომელმაც აღაშენა მცირე ქალაქი კინტრიში ჩვენს სამკვიდრო ადგილებში, ლიმენაც (ნავსადგური იქ არის), ,,გურიელნი თავის ძლიერების ჟამს თავის სომალდებს იქ ასაქმებდნენ. ეს ადგილი რომ დაგვაკლდა ექვსი წელიწადი არის. გაზეთ ,,დროების'' ცნობით (№15 1872 წ)'' აჭარა, ლივანა, ქობულეთი, ლაზისტანი საქართველოს იმ ნაწილებს ჰქვიან, რომელნიც ოსმალეთს უჭირავს და ისეთივე ნაწილია,როგორც კახეთი,იმერეთი, რაჭა, ქართლი, სამეგრელო და სხვა ნაწილები. აჭარას და ეხლანდელ გურიას ერთხანს გურიას უწოდებდნენ.'' მოტანილ წყაროთა ანალიზაის საფუძველზე ალმპარის მიდამოებში გურიელთა სასახლის არსებობა სავსებით მისაღებია, მაგრამ აქვე უნდა მივუთითოთ ისიც, რომ ალმპარი არ ყოფილა გურიის ,,პატრონთა'', ერისთავთ-ერისთავთა და მთავართა ერთადერთი რეზიდენცია. გარდა ამისა, იგი უფრო გურიელთა მრავალრიცხოვანი სახლის წევრების ბატონისშვილების საგამგეო ადგილსა და სამფლობელოს წარმოადგენდა. XVI საუკუნეში ალამპარი ვახტანგ ბატონისშვილის საუფლისწულო მამელის რეზიდენცია იყო.

აქვე ყურადსაღებია ისიც, რომ ბატონისშვილი ვახუშტი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ალამპრის პარალელურად გურიის სამთავროს სატახტო ქალაქად ასახელებს ოზურგეთს. მისი გადმოცემით: ,,დიდშენი და გუმათიანი'' შემოქმედის მონასტრის მახლობლად დის მცირე მდინარე, გამოსდის სურებსა და ხინოს შუას მთას, და დის გრეხით მერთვის ხინოს წყალს ჩრდილოეთიდან. ამ წყალზედ შემოქმედს ქვეით არს ოზურგეთი, სასახლე დიდშენი, კეთილპალატოვანი გურიელისა. აქა სახლობენ ვაჭარნი, სომეხ, ურიანი და ვაჭრობენ.

მოტანილი წყაროებიდან ერთხელ კიდევ ცხადდება: რომ გურიანთის ვაშნარის, ციხისძირ-ბათუმის ლიხაურის ციხის შემდეგ გურიის მხარის, გურულთა საგვარეულოს დედაქალაქი უნდა ყოფილიყო ოზურგეთი, ხოლო მთი საგვარეულო სძვალე-მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია სოფელ შემოქმედში. ოზურგეთი უნდა ყოფილიყო აგრეთვე იმ პირველ გურიელთა რეზიდენცია რომლებიც იხსენებიან ჟამთა აღმწერლის ცნობებში; აჭის, შემოქმედის, ლიხაურის, ჯუმათის, ბაგლების, ექადიის, სამცხის ზარზმისა და სხვათა წარწერებში. ასე რომ ამ მოსაზრების თანახმად, ოზურგეთს როგორც გურიელთა ერთ-ერთ ძირითად რეზიდენციას და სატახტოს შვიდას წლოვან ისტორიული წარსულის წინარე პერიოდში უნდა გადასწვდეს თვალი.

ენვერ გოგუაძე

უფასო განცხადება ტალონი

90 ბეჭდვითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი ,,ალიონი'' გთავაზობთ სერვისს ,,უფასო განცხადების ტალონი'', რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი სრულია.

90 ბეჭდვით ნიშანზე გადაკილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გეგმებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საჭიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ლადო აფხაზავა - მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს პირველი მფლობელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი საქართველოში მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს პირველი მფლობელი გახდა, თბილისის საკრებულოში გამართულ ცერემონიაზე მას, ჯილდოსთან ერთად,10 000 ლარიც გადაეცა.

ლადო აფხაზავა 1976 წლის 9 იანვარს, სოფელ ნიგვზიანში დაიბადა. 1993 წელს დაამთავრა ნიგვზიანის საშუალო სკოლა, 1999 წელს კი - წარჩინებით ბათუმის კოოპერაციული ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 2010 წლიდან მუშაობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლების მასწავლებლად. 2012 წლიდან არის მცირე საოჯახო სახლის მენეჯერი, სადაც რვა ბავშვი ცხოვრობს.

2003 წელს დააფუძნა ბანაკი, სადაც მოსწავლეები არაფორმალურ განათლებას იღებდნენ. ბავშვებმა ბანაკს „ლადოს ბანაკი“ უწოდეს. სწავლების პროცესში გამორჩეულად იყენებს პროექტული სწავლების მეთოდოლოგიას. მუდამ ცდილობს მრავალფეროვანი და განსხვავებული იყოს მისი გაკვეთილი. ამისათვის არ ერიდება გაბედულ ნაბიჯებს და მოსწავლეებს ხშირად თავაზობს განსხვავებულ გარემოში გაკვეთილების ჩატარებას. მისი ყველა მოსწავლე აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესში. მას სწამს, რომ მასწავლებელს ყველა მოსწავლის დაინტერესება შეუძლია.

ლადო ბევრს აკეთებს არამხოლოდ საკუთარი მოსწავლეებისათვის, არამედ მთლიანად სკოლისათვის. ამ მიზნით, სკოლის მასშტაბით მან წამოიწყო პროექტი

„დემოკრატიული რევოლუცია“, რომლის მიზანია მოსწავლეთა გაქტიურება, მათი იდეებისა და ინიციატივების რეალიზება. იგი ასევე ცდილობს, გაზარდოს მშობელთა და თემის ჩართულობაც და ამ მიმართულებითაც სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებს. არაერთმა მის მიერ ინიცირებულმა პროექტმა ფართო აღიარება მოიპოვა. მაგალითისთვის, პროექტს „ეთნო რძლები“ საერთაშორისო ჯილდოც გადაეცა. პროექტი მულტიკულტურალიზმის და ტოლერანტობის განვითარებას ისახავდა მიზნად.

აფხაზავას გარდა, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტები იყვნენ:

ეკა წულუკიძე - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ნათია ფურცელაძე - ქ. თბილისის კერძო სკოლა „ქორალის" ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ნინო აბულაძე - ქ. თბილისის 43 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

თეა ნონიკაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის ბიოლოგია/ბუნებისმეტყველების მასწავლებელი.

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ კოალიცია „განათლება ყველასათვის - საქართველოს“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2017 წლის 13 მაისს დაწესდა.

აღნიშნული ინიციატივა საქართველოში პირველად ხორციელდება და ის მასწავლებელთა პოპულარიზაციისკენ მიმართული გლობალური კამპანიის - „The Global Teacher Prize“ ნაწილია.

„მერცხალის“ ორი ფრე

ალიონი. საინტერესო და დაძაბული გამოდგა რეგიონლიგის („ა“ ჯგუფი) მე-19 და მე-20 ტური. გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა „ბახმარომ“ გასვლით მატჩში „მაჭახელასთან“0:2 დათმო შეხვედრა, თუმცა მომდევნო ტურში შინ „სირმეს“ 3:1 სძლია . წაიფორხილა „ბახმაროს“ უშუალო მდევარმა „ლესიჭინემ,“ რომელმაც საშინაო მატჩში 1:1 ითამაშა ხულოს „ხისანთან.“ მომდევნო გასვლით მატჩში ხონში „იმერეთი 2“-ს სძლია. „მაჭახელამ“ კი ზუგდიდში „ოდიში 1919 2“-ს მოუგო 3:1.

20 ტურის შემდეგ „ბახმარო“ 47 ქულით კვლავ ერთპიროვნული ლიდერია; 45-45 ქულა აქვს „ლესიჭინეს“ და „მაჭახელას“, თუმცა „მაჭახელას“ ერთი შეხვედრით ნაკლები აქვს ჩატარებული.

რაც შეეხება „მერცხალს“, ოზურგეთელებმა აბაშაში „ზანასთან“ ფრე 1:1 ითამაშეს. საშინაო მატჩში გათამაშების ცხრილში მე-4 საფეხურზე მყოფ „სამგურალი 2“-თან კვლავ ფრე 0:0.

„მერცხალის“ უშუალო კონკურენტმა „ზანამ“ კი ბათუმში „დინამო“-2-ს სძლია 0:2 და 24 ქულით მე-8 ადგილზე დამკვიდრდა. „მერცხალს“ 21 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში მე-9 ადგილზეა.

შემდეგ მოდიან: „რაჭა“-20 ქულა, სირმე –19, „იმერეთი“ -2-18, „ეგრისი,“ „სალხინო“ 17-17 ქულა. ბოლო ადგილზე მყოფ „ოდიში 1919“-2 ანალგაზრდულ გუნდს ჯერ-ჯერობით არცერთი ქულა არ აქვს.

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.

იყიდება

სახლი ქ. ოზურგეთში, 4500 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთით,მოშენებული ვენახით, თხილით.
მისამართ: დიმიტრი ბაქრაძის ქ. №5
ტელ. (599) 29 98 65

7 დღის ამინდის პროგნოზი

9 ოქტომბერი ორშაბათი	10 ოქტომბერი სამშაბათი	11 ოქტომბერი ოთხშაბათი	12 ოქტომბერი ხუთშაბათი	13 ოქტომბერი-პარასკევი	14 ოქტომბერი შაბათი	15 ოქტომბერი კვირა
მცირე წვიმა +13+20	მცირე წვიმა +12+17	მცირე წვიმა +10+15	მზე, ღრუბელი +8+15	ღრუბელი +7+13	მზე ღრუბელი +10+15	ღრუბელი +8+13